ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სამუშაო გეგმა დამტკიცდა 2024 წლის 12 იანვარს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე. წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების განხილვა:

1. კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (თებერვალი);

3. ინფორმაციის მოსმენა ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების შესახებ (თებერვალი-მარტი);

4. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენა 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე (თებერვალი-აპრილი);

5. ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (მარტი-აპრილი);

6. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ (მაისი-აგვისტო);

7. ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშის მოსმენა (აპრილი, ივლისი, ოქტომბერი) ;

8. ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა (აპრილი, ივლისი, ოქტომბერი);

9. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის და დგომა/გაჩერების წესების დადგენის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის შემუშავება (აპრილი-ივლისი);

10. ინფორმაციის მოსმენა ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ; (ივლისი-აგვისტო);

11. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება (წლის განმავლობაში);

12. 2024 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განხილვა (წლის განმავლობაში);

13. ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (დეკემბერი);

14. 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება (ნოემბერი-დეკემბერი);

15. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, დეკემბერი).

2024 წლის განმავლობაში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ ჩატარებული არის 13 სხდომა, ერთი რიგგარეშე. განხილულია 31 საკითხი, ინფორმაციის სახით განხილულია 5 საკითხი, მიღებულია 2 დადგენილება, 12 განკარგულება, 4 ბრძანება და მოსმენილია 8 ანგარიში.